



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories,
Labour, Health and Social Affairs of Georgia



KA030157659990819

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/1741

04 / თებერვალი / 2019 წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ ქვეყანაში მიმდინარე წითელას, როგორც გეგმიური ასევე, არაგეგმიური აცრებისათვის პირველ კვარტალში სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს ესაჭიროება ვაქცინის დამატებით შესყიდვა. აღნიშნულის განსახორციელებლად საჭიროა „იმუნიზაციის“ (პროგრამული კოდი – 27 03 02 02) პროგრამით პირველი კვარტლის „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების გაზდრა ამავე პროგრამის მეორე და მესამე კვარტლის „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებების შემცირების ხარჯზე.

ამასთან, დაბალანსების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოყენებული იქნას „მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების“ (პროგრამული კოდი – 27 02 02), „C ჰეპატიტის მართვის“ (პროგრამული კოდი – 27 03 02 11 01) და „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ (პროგრამული კოდი – 27 03 03 11) სახელმწიფო პროგრამებში გათვალისწინებული ასიგნებები.

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განახორციელოთ დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება, დანართის შესაბამისად.

დანართი „1“ ფურცელი.

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერა/შტამპი
მომხმარებლისთვის



გიორგი წონკოლაური